ბიზნესის ადმინისტრირება

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო აკადემიური პროგრამა გამოირჩევა თავისი შინაარსით, სტრუქტურით, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობითა და სწავლების უახლესი მეთოდოლოგიით. ის შექმნილია უცხოეთის პარტნიორი უნივერსიტეტების პროგრამაზე დაყრდნობითა და ბაზარზე ორიენტირებით, ხოლო ენერგეტიკის მენეჯმენტის მოდული, რომელიც პროგრამის შემადგენელი ნაწილია, შემუშავებულია USAID-ის პროექტის ფარგლებში.

პროგრამის მიზანია მომავალ სპეციალისტებს გამოუმუშაოს თანამედროვე თეორიებზე დაფუძნებული ადმინისტრირების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, როგორც ზოგადად მენეჯმენტის, ფინანსების და მარკეტინგის, ისე სხვა, ცალკეული დარგობრივი მიმართულებების მიხედვით.

პროგრამა აგებულია მოდულარული პრინციპით, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს კონცენტრირება მოახდინოს ფინანსების, მენეჯმენტის ან ენერგეტიკის მენეჯმენტის დისციპლინებზე.

პროგრამის უპირატესობა:

- სალექციო კურსებს უძღვებიან მაღალი კლასის თეორიტიკოსი და პრაქტიკოსი სპეციალისტები **(დემურ გიორხელიძე, სლავა ფეტელავა, ნუგზარ ბერიძე, დავით ალიმბარაშვილი, ნინო შოშიტაიშვილი, ვახტანგ ჭარაია და სხვები);**
- პროგრამა იძლევა, როგორც საზღვარგრეთ სწავლის, ისე პროფესიული სტაჟი-რების საშუალებას სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების უზრუნველყოფით;
- პროგრამა უზრუნველყოფილია პრაქტიკის კომპონენტით, რაც გულისხმობს პროფესიული პრაქტიკის გავლას სხვადასხვა ორგანიზაციებში;
- სტუდენტს, საკუთარ ინტერესთა სფეროს გათვალისწინებით, შეუძლია კონცენტრაცია სახვადასხვა მიმართულებით;
- პროგრამა გულისხმობს ინგლისურენოვანი სასწავლო კომპონენტს სტუდენტის არჩევით;
- ლექციების ჩატარების დრო მორგებულია დასაქმებული სტუდენტების ინტერესებს;
- სტუდენტებისათვის სისტემატურად ტარდება მასტერკლასები, რომლებსაც უძღვებიან ადგილობრივი და უცხოელი მოწვეული ექსპერტები;
- პროგრამა ეხმარება სტუდენტებს პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობებში;

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.**

სწავლის საზღაური შეადგენს, წელიწადში, 3060 ლარს.